განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

2023

პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების გზამკვლევი პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების მსურველთათვის

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების უფლების მოპოვების მიზანს წარმოადგენს ფორმალური განათლების ფარგლებში შესაბამისი საქმიანობის განხორციელება და სახელმწიფოს მიერ აღიარებული პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის- სერთიფიკატის გაცემა.

პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელებისთვის განისაზღვრება ორი განსხვავებული პროცედურა.

ნებისმიერი დაინტერესებული **იურიდიული პირისთვის, მათ შორის საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის,** პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების გზით

საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის პროგრამის განხორციელება დამატებითი უფლების მოპოვების გარეშე/ელექტრონულ სისტემაში პროგრამის რეგისტრაციის გზით

პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების წესი და პროცედურები **იურიდიული პირებისთვის**

იურიდიული პირი, რომელსაც სურს პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვება უნდა აკმაყოფილებდეს პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების მოსაპოვებლად დადგენილ 3 სტანდარტს:

1. პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამა
2. პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსი
3. პროგრამის ადმინისტრირება

სტანდარტი - ეს არის სახელმწიფოს მიერ დაწესებული მოთხოვნა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს იურიდიული პირი ფორმალური განათლების ფარგლებში შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებული პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - სერტიფიკატის გასაცემად.

სტანდარტები იხილეთ შემდეგ ბმულზე- https://eqe.ge/ka/page/static/773/standartebi

მას შემდეგ, რაც დარწმუნდებით, რომ ყველა სტანდარტს აკმაყოფილებთ, თქვენ უნდა გაიაროთ შემდეგი ეტაპები:

I ეტაპი - იურიდიული პირის მიერ ელექტრონული განაცხადის წარდგენა

თქვენ უნდა გააკეთოთ ელექტრონული განაცხადი. ელექტრონული განაცხადი კეთდება ელექტრონული სისტემის მეშვეობით და ის უნდა შეიცავდეს:

- იურიდიული პირის სახელწოდებასა და სამართლებრივ ფორმას;
- იურიდიული პირის საიდენტიფიკაციო კოდს;
- იურიდიული პირის მისამართსა (იურიდიული და ფაქტობრივი) და საკონტაქტო ინფორმაციას (ტელეფონის ნომერი და ელფოსტის მისამართი);
- იურიდიული პირის საქმიანობის სფეროს, რომელიც განისაზღვრება ეკონომიკური საქმიანობის სახეების შესახებ საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის შესაბამისად;
  ეროვნული კლასიფიკატორი იხილეთ შემდეგ ბმულზე- https://eqe.ge/ka/page/static/771/samartlebrivi-aktebi

- პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის სახელწოდებასა (ქართულ და ინგლისურ ენებზე) და პროგრამის სახეს (პროფესიული მომზადების პროგრამა ან პროფესიული გადამზადების პროგრამა);

- პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ელექტრონულ ფორმას, რომელზეც შესრულებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/კვალიფიციური ელექტრონული შტამპი;

  პროგრამის ელექტრონული ფორმა იხილეთ შემდეგ ბმულზე- https://eqe.ge/ka/page/static/777/formebi

- პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების ადგილს;
- მსმენელთა რაოდენობას (მოთხოვნილი რაოდენობის დასაბუთებით);
- ინფორმაციას პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსისა (განათლების ან/და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი თანამშრომლობასთან დაკავშირებით არანაკლებ პროგრამის განხორციელების ვადით გაფორმებული ხელშეკრულება/შეთანხმება) და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ;
- ინფორმაციას პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი სასწავლო რესურსის შესახებ;
- ინფორმაციას მსმენელის უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ, პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, აგრეთვე უფლებამოსილი ორგანოს/პირის მიერ გაცემულ დასკვნას სახანძრო უსაფრთხოების შესახებ ან უფლებამოსილი ორგანოს/პირის მიერ გაცემულ მიწერილობას სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის აღმოფხვრაზე;
- დასაბუთებას პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების საჭიროების შესახებ;
- ინფორმაციას მსმენელის შერჩევისა და პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურის შესახებ;
- ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესახებ;
- პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართულ მეწარმე სუბიექტთან ან სახელმწიფო ორგანოსთან გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომელიც შეიცავს ინფორმაციას თანამშრომლობის ფორმატის შესახებ, მათ შორის, რესურსების გამოყენების შესახებ, არანაკლებ პროგრამის განხორციელების ვადით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად თავად ფლობს შესაბამის რესურსს;
- შესაბამისი სახელმწიფო დარგობრივი მარეგულირებელი უწყების/ორგანოს პოზიციას პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის თაობაზე, იმ შემთხვევაში, თუ დადგენილია გარკვეული რეგულაციები დარგობრივი უწყების მიერ;
- დანართის სახით საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს. საფასური განისაზღრება სამინისტროს მიერ;
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სწავლის სფეროების კლასიფიკატორით' გათვალისწინებულ სწავლის სფეროს ვიწრო სფეროს კოდს.

განაცხადს უნდა დაერთოს საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

განხორციელების უფლების მოპოვების საფასური **თითოეული პროგრამისთვის შეადგენს 815 ლარს.** პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭებაზე საბჭოს მიერ უარის თქმის შემთხვევაში აღნიშნული თანხა უკან არ ბრუნდება.

ინფორმაცია საფასურის განსაზღვრის თაობაზე იხილეთ შემდეგ ბმულზე: https://eqe.ge/geo/static/771//

საფასური გადაიხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ცენტრის ანგარიშსწორების ანგარიშზე შეტანის გზით (ხაზინაში თანხების ჩარიცხვისათვის საჭირო რეკვიზიტები იხ. შემდეგ ბმულზე - ინფორმაცია საფასურის განსაზღვრის თაობაზე იხილეთ შემდეგ ბმულზე: https://eqe.ge/ka/contact

II ეტაპი - საბჭოს აპარატის მიერ ელექტრონული განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის განხილვა

საბჭოს აპარატი 3 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობას.

შეუსაბამობის შემთხვევაში საბჭოს აპარატი განმცხადებელს განუსაზღვრავს **არანაკლებ 5 და არაუმეტეს 15 სამუშაო დღის ვადას** ხარვეზის გამოსასწორებლად.

ხარვეზის გამოსწორების შემთხვევაში, ადმინისტრაციული წარმოება გრძელდება, ხოლო ამავე ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, ელექტრონული განაცხადი დარჩება განუხილველი, რის შესახებაც ეცნობება იურიდიულ პირს.

III ეტაპი - საბჭოს აპარატის მიერ პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება

საბჭოს აპარატი და ექსპერტის/ექსპერტთა ჯგუფი უზრუნველყოფენ პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების **პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებას.**

ცენტრი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტს ექსპერტის იურიდიულ პირთან ვიზიტის განხორციელების ან ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და ვიზიტის განხორციელების შესახებ, რომელიც ეგზავნება იურიდიულ პირს.

იურიდიული პირი უფლებამოსილია, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად, ცენტრში წარადგინოს დასაბუთებული განაცხადი ექსპერტის/ექსპერტთა ჯგუფის აცილების შესახებ.

IV ეტაპი - საბჭოს აპარატის მიერ დასკვნის მომზადება და საბჭოსთვის წარდგენა

იურიდიული პირის მიერ წარდგენილი ელექტრონული განაცხადის, დოკუმენტაციის შესწავლისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგების გათვალისწინებით, შემდეგ, საბჭოს აპარატი და ექსპერტი/ექსპერტთა ჯგუფი უზრუნველყოფენ სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მომზადებას, რომელიც ზეპირი მოსმენის გამართვამდე **არანაკლებ 7 კალენდარული დღით** ადრე, ელექტრონული სისტემის მეშვეობით, ხელმისაწვდომია, როგორც იურიდიული პირისთვის, ასევე საბჭოსთვის.

ინფორმაცია საბჭოს შესახებ იხილეთ შემდეგ ბმულზე: https://eqe.ge/ka/page/static/783/sabcho

V ეტაპი - ზეპირი მოსმენის გამართვა

ზეპირი მოსმენის შესახებ დაინტერესებულ მხარეს ეცნობება ზეპირი მოსმენის გამართვამდე **არანაკლებ 7 კალენდარული დღით ადრე.**

საბჭოს სხდომა საჯაროა. საბჭოს თავმჯდომარე უფლებამოსილია, სხდომა დახურულად გამოაცხადოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

საბჭოს აპარატისა და ექსპერტის/ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარდგენილი დასკვნისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე საბჭო იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭებასთან დაკავშირებით.

VI ეტაპი - გადაწყვეტილების მიღება

საბჭო იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

1. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ

2. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ

3. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების გაუქმების შესახებ

4. ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ

5. მსმენელთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ

6. მსმენელთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის თაობაზე უარის თქმის შესახებ

იმ შემთხვევაში, თუ იურიდიული პირი ვერ აკმაყოფილებს ერთ-ერთ სტანდარტს, საბჭო მას განუსაზღვრავს **ხარვეზის გამოსასწორებლად 30 კალენდარულ დღეს საბჭოს სხდომიდან.** გარდა იმ შემთხვევისა, თუ აშკარაა, რომ ამას შედეგი არ მოჰყვება. გადაწყვეტილება მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ქვეყნდება ცენტრის ვებგვერდზე.

იურიდიული პირისთვის პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება განაცხადის წარდგენიდან **60 სამუშაო დღის ვადაში** (საბჭოს მიერ განსაზღვრული ხარვეზის შემთხვევაში - 80 სამუშაო დღის ვადაში). **იურიდიულ პირს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლება ენიჭება 3 წლის ვადით.**

გთხოვთ გაითვალისწინოთ:

თუ თქვენს პროგრამას საფუძვლად უდევს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი, მისი **გაუქმების შემთხვევაში ან ამავე სტანდარტიდან იმ კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში,** რომლის ფარგლებშიც მომზადებულია თქვენი პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა, თქვენ უფლებამოსილი ხართ შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხულ მსმენელებს დაასრულებინოთ სწავლა. აღნიშნულ პროგრამაზე ვეღარ მიიღებთ ახალ მსმენელს

თუ თქვენს პროგრამას საფუძვლად უდევს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი, მისი **შეცვლის შემთხვევაში,** პროგრამაზე შემდეგი მიღების გამოცხადებამდე ვალდებული ხართ მოახდინოთ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის შეცვლილ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობა. მიმდინარე მსმენელებს შეგიძლიათ სწავლა დაასრულებინოთ იმ პროგრამაზე, რომელზეც ისინი ჩაირიცხნენ, ხოლო ახალი მსმენელები უნდა მიიღოთ შეცვლილ პროგრამებზე

თუ თქვენ დაკარგავთ პროგრამის განხორციელების უფლებას, თქვენ უფლებამოსილი ხართ, უკვე ჩარიცხულ მსმენელებს დაასრულებინოთ სწავლება არსებული პროგრამით

სტანდარტების შესრულების შემოწმების მიზნით, ცენტრი უფლებამოსილია, გამოითხოვოს თქვენგან შესაბამისი დოკუმენტაცია/ინფორმაცია და/ან გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ექსპერტის/ექსპერტთა ჯგუფის მიერ მონიტორინგის ვიზიტის (სამართლებრივი აქტი მონიტორინგის ვიზიტის შესახებ იურიდიულ პირს წარედგინება უშუალოდ ვიზიტის დროს) განხორციელების ან ვიზიტის გარეშე დოკუმენტაციის შესწავლის შესახებ

თუ გამოვლინდა, რომ დარღვეულია ერთ-ერთი სტანდარტი, საბჭო უფლებამოსილია, მონიტორინგის ფარგლებში მომზადებული დასკვნის საფუძველზე (მონიტორინგის დასკვნა, ელექტრონული სისტემის მეშვეობით, ხელმისაწვდომია იურიდიული პირისა და საბჭოსთვის) მიიღოს გადაწყვეტილება პროგრამის განხორციელების უფლების გაუქმების შესახებ ან გამოსასწორებლად განგისაზღვრავთ არ უმეტეს 15 სამუშაო დღეს, გარდა იმ შემთხვევისა თუ აშკარაა, რომ ამას შედეგი არ მოჰყვება

<u>შენიშვნა:</u> წინამდებარე ინფორმაცია მომზადებულია 2023 წლის 10 ივნისის მდგომარეობით არსებული კანონმდებლობის საფუძველზე. ის არ წარმოადგენს საკანონმდებლო ან ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს და მხოლოდ საკონსულტაციო ფუნქციას ასრულებს

პროფესიული მომზადება/პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მოპოვების პროცესი

სქემატურად